საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქსტატი
National Statistics Office of Georgia
GEOSTAT

2667-4-2-202112151617

N 4-2667 15/12/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ რომან გოცირიძეს

ბატონო რომან,

თქვენი წერილის (12107/3-17/21 13-12-2021) პასუხად გაცნობებთ, რომ კრიპტოვალუტის წარმოების (ე.წ. მაინინგის) ასახვა საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში დღეის მდგომარეობით ვერ ხორციელდება, რადგან არ არსებობს აღნიშნული საქმიანობის აღრიცხვის საერთაშორისო მეთოდოლოგია და შესაბამისი პრაქტიკა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში. ასევე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური საქმიანობების ეროვნული კლასიფიკატორი - სეკ 006-2016, არ იძლევა კრიპტოვალუტის წარმოების, როგორც ცალკე ეკონომიკური საქმიანობის სახის იდენტიფიცირების საშუალებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მუშაობა მიმდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ციფრული აქტივების (მათ შორის კრიპტოვალუტის) კლასიფიცირების და მათი წარმოების აღრიცხვის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით, რომლის დასრულების შემდეგაც შესაძლებელი გახდება კრიპტოვალუტის წარმოებით დაკავებული კომპანიების ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება და მთლიან შიდა პროდუქტში ასახვა.

პატივისცემით,

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი

თბილისი, ს. დადიანის №30, 0180
ტელ: +995 32 236 72 10
ფაქსი: +995 32 236 72 13
ელ-ფოსტა: info@geostat.ge
www.geostat.ge